

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11

2012 წლის 22 თებერვალი

ქ. ზუგდიდი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთებისა და თანამდებობათა დასახელების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულების შესაბამისად:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთებისა და თანამდებობათა დასახელებები დანართი №1-ის შესაბამისად, დანართი №1 თან ერთვის).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთებისა და თანამდებობათა დასახელების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 12 იანვრის №2 დადგენილება.
3. მიღებული დადგენილება გადაეგზავნოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
4. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონთა დადგენილი წესით უზრუნველყოს დადგენილების რეგისტრაცია და გამოქვეყნება.
5. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2012 წლის 1 თებერვლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე ლ. კონჯარია

დანართი № 1

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები და თანამდებობათა დასახელება

საჯარო მოხელეთა სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და თანამდებობების დასახელება	ხელფასის სარგოები ლარობით
გამგებელი	2360
გამგებლის მოადგილე	900
სამსახურის უფროსი	700
თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი– თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული	700
გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსი	500
გამგებლის თანაშემწე, სხვა უფროსი საჯარო თანამდებობის პირები	450
უმცროსი საჯარო თანამდებობა, მათ შორის:	
მთავარი სპეციალისტი	420
წამყვანი სპეციალისტი	380
უფროსი სპეციალისტი	340
სპეციალისტი	300